



შპს ექვთიმა თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე
ოქმი №2, 5 თებერვალი 2015 წელი
რექტორი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე:

/ გულქან ქმოსტელი/

შეთანხმებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.
სამსახურის უფროსი: /მარიამ დარბაიძე/

მესამე საფეხურის სასტუმრო საქმისმწარმოებლის პროფესიული პროგრამა

რუსთავი-2015წ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მესამე საფეხურის სასტუმრო საქმისმწარმოებლის პროფესიული პროგრამა
პროფესიული განათლების საფეხური	მესამე
მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	მესამე საფეხურის სასტუმრო საქმის მწარმოებლის პროფესიული კვალიფიკაცია
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავების თარიღი	2015 წელი
პროგრამის ხელმძღვანელი	ციური დურული-პროფესორი

პროფესიულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა :

მესამე საფეხურის სასტუმრო საქმისმწარმოებლის პროფესიულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ECTS, პროფესიული პროგრამის მოცულობა:

- მესამე დონის სასტუმრო საქმის მწარმოებლის პროფესიული პროგრამა აგებულია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად და მოიცავს:

პროფესიული დიპლომის მოსაპოვებლად კურსდამთავრებულმა უნდა მოაგროვოს შესაბამისად არანაკლებ 60 კრედიტისა, 30 კრედიტი (1 კრედიტი-25სთ.) თითოეულ სემესტრში. 60 კრედიტიდან - 24 კრედიტი (600 სთ.) ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 36 (900 სთ.) კრედიტი სასწავლო და სანარმოო პრაქტიკას.

➤ პროგრამის ხანგრძლივობა – 40 კვირა

- პრაქტიკისა და სასწავლო კომპონენტის პროცენტული თანაფარდობა შესაბამისობაშია სასტუმრო საქმის მწარმოებელის(0201151) დარგობრივ პროფესიულ სტანდარტთან:
 - პროგრამის 60 % – ეთმობა სასწავლო კომპონენტს;
 - პროგრამის 40 % – ეთმობა სასწავლო და სანარმოო პრაქტიკას;
- პროგრამის ხანგრძლივობა – 25 კვირა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოამზადოს სასტუმროს საქმის მწარმოებელი, რომელსაც ეცოდინება სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესისათვის დამახასიათებელი პროცესები, პრინციპები და კონცეფციები, სასტუმროს სხვადასხვა სამსახურების მუშაობის სპეციფიკა; გამოუმუშავდება მომხმარებლისათვის მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზება უზრუნველყოფისათვის საჭირო უნარ-ჩვევები და ჩამოუყალიბდება სფეროსათვის მნიშვნელოვანი, სტუმარმარსპინძლობის პროცესისათვის დამახასიათებელი ღირებულებების მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობა და ცვალებად სიტუაციებში ადეკვატურად, მათ შესაბამისად მოქმედების უნარი.

მესამე საფეხურის სასტუმრო საქმის მწარმოებლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება მჭიდროდ უკავშირდება რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას.

სწავლის შედეგები და სასტუმრო საქმის მწარმოებლის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი:

კომპეტენციები	ზოგადი	დარგობრივი
ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი	იცის და გაცნობიერებული აქვს სასტუმროს სფეროსთვის დამახასიათებელი პროცესები, პრინციპები და კონცეფციები; სასტუმროს სხვადასხვა სამსახურების მუშაობის სპეციფიკა;

	<p>ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.</p>	<p>იცის: ა) <u>ტურისმი და სასტუმრო ბიზნესი</u>; ტურიზმის სფეროს ასლი და დანიშნულება ; სასტუმრო ინდუსტრია და სატუმრო ბიზნესი , როგორც ტურიზმის ბაზრის მნიშვნელოვანი სექტორი - სასტუმრო, როგორც ერთიანი ორგანიზმი , მისი სტრუქტურა, ორგანიზება და ფუნქციონირება; სასტუმროს ტიპები და მუშაობის სპეციფიკა; შერჩეული და სრული მომსახურების პაკეტის მქონე სასტუმროს საქმიანობის ძირითადი სფეროები.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს დარგის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომები შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p>შეუძლია: სტუმრის მიღება-განთავსება: კოორდინირება სასტუმროს დაჯავშნის სამსახურთან (ან ტურისტულ სააგენტოებთან) და ინფორმაციის მიღება სტუმართა რაოდენობის, მათი ჩამოსვლის თარიღებისა და გამგზავრების ვადების შესახებ; სტუმრების განსათავსებლად პროგრამაში / ბაზაში ადგილების მოძიება; სტუმრებს განთავსების გეგმის შედგენა / უშუალო ხელმძღვანელთან ან / და მენეჯერთან ერთად / ; სტუმრების მისაღებად ნომრების მზადყოფნის შემოწმება; სტუმრის მისაღება და მიღება; სასტუმროს ნომრების, ტარიფებისა და მომსახურების სახეების შერჩევაში დახმარება ;სპეციფიკური ფასდაკლებების არსებობის შემთხვევაში სტუმრის ინფორმირება ; რეგისტრაციასთან, სასტუმროში შემოსვლის და გასვლის დროსთან დაკავშირებით სტუმრის ინფორმირება; სტუმრის ინფორმირება სასტუმროს დამატებითი მომსახურების შესახებ; სტუმრის ინფორმირება სანტრასპორტო მომსახურების, სხვადასხვა ღონისძიებების თუ ღირსშესანიშნაობების შესახებ, სტუმრისათვის შესაბამისი ბროშურების ,რუკებისა და ბუკლეტების გადაცემა; სტუმრის რეგისტრაციაში გატარება და ნომერში განაწილება; გასაღების გადაცემა პროგრამაში რეგისტრაციის ინფორმაციის შეტანა; რეგისტრაციის ყველა პროცედურის თანმიმდევრული შესრულება; სტუმრის ძვირფასეულობის სასტუმროს სეიფში განთავსების უზრუნველყოფა; სასტუმროს სხვადასხვა დეპარტამენტების ინფორმირება სტუმრის განთავსების შესახებ; სასტუმროს დატვირთვის დღიური სტატისტიკის დამუშავება; კორესპოდენციის მიღება, შენახვა და სტუმრისათვის გადაცემა; სტუმრებისათვის ნომრის შეცვლასთან დაკავშირებული საკითხის მოგვარება ; სტუმრის გაღვიძება მისი მოთხოვნით; სტუმრის ნომერში მომსახურებასთან დაკავშირებით შეკვეთის მიღება და შესაბამისი განყოფილებისათვის გადაცემა; 24 საათის განმავლობაში სატელეფონო სერვისი ; სტუმრებისათვის სხვადასხვა ღონისძიებებზე ბილეთების დაჯავშნა , ტაქსის გამოძახება; ბარგის შენახვის და სასტუმროდან ბარგის გატანის ორგანიზება და უზრუნველყოფა; დეპოზიტების, ავანსების, ჩეკების, საკრედიტო ბარათების შემოწმება;</p>

ფასდაკლებების, უფასო მომსახურების და გადახდის სპეციალური ფორმების კონტროლი; საბანკო ტერმინალის გამოყენება; სალარო აპარატის გამოყენება ანგარიშწორების კომპიუტერული პროგრამის გამოყენება; სტუმრისათვის მისაღები გადახის ფორმების კონსულტირება; სტუმრის მიერ გამოყენებული საკვების, სასმელების, სატელეფონო საუბრების, სასტუმროს მომსახურების და სხვა დამატებითი მომსახურების (სამრეცხაო, ქიმიკა, სპაცენტრი და ა.შ.) საფასურის სტუმრის ანგარიშზე გადარიცხვა; სტუმრის მთლიანი ანგარიშის და გადახდის ქვითრის მომზადება, სტუმრის გასტუმრებისას ანგარიშის დახურვა; დღიური შემოსავლების დაჯამება, შესაბამისი ანგარიშის მომზადება ნაღდი და უნაღდო ანგარიშწორების მითითებით და პასუხისმგებელი პირისათვის გადაბარება; შვეიცარიის მუშაობის კონტროლი.

სასტუმროს მართვის ერთერთი საერთაშორისო კომპიუტერული პროგრამის საშუალებით მიღება-განთავსების პროცედურების განხორციელება; ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და საოფისე ტექნიკის პროფესიულ დონეზე გამოყენება.

დაჯავშნა მიღება-განთავსების სამსახურთან კოორდინირებული მუშაობა და ინფორმაციის მიწოდება სტუმრების ჩამოსვლასთან დაკავშირებით; ტურისტული სააგენტოებისა და მომხმარებელთათვის ინფორმაციის მიწოდება; მიღებული ინფორმაციის დამუშავება; ჯავშნის მიღება; ჯავშნის მომზადება და რეგისტრაცია; სასტუმროს მართვის ერთერთი საერთაშორისო კომპიუტერული პროგრამის საშუალებით დაჯავშნის პროცედურების განხორციელება;

დასუფთავების სპეციფიკა

დასუფთავების პროცედურები და წესები: საზოგადოებრივი მოხმარებისათვის განკუთვნილი არიალის, დერეფნების, ვესტიბიულის, შემოსასვლელების, საზ. ტუალეტების, გასახდელეები, თანამშრომელთა სამუშაო არეალის, შეხვედრის დარბაზების, დერეფნების ლიფტების, კვების ობიექტების, სათანადო წესის დაცვით დასუფთავება; ნომრების რეგულარული და გენერალური დასუფთავება; ნომრის საჭირო ატრიბუტიკით აღჭურვა; თეთრეულის, პირსახოცების დანიშნულებისამებრ გამოყენება; ქიმიური ხსნარების, სარეცხი და სანმენდი საშუალებების უსაფრთხო მოხმარება; დასუფთავების და წმენდის სპეციალური მონაცობილობების და მანქანების მოხმარება; ნომრებში განთავსებული ატრიბუტების გამოცვლა, შევსება, განხლება; მომხმარებელთა

		<p>ქონების ხელშეუხებლობის დაცვა და სხვისი ქონების მოფრთხილება ; დაკარგული და ნაპოვნი ნივთების აღრიცხვის პროცედურების განხორციელება; ნომერში არსებული მინი ბარის შევსება და აღრიცხვა; ოთახის მცენარეების მოვლა ; კვებისა და სასმელების სერვისი, სარესტორნო ინვენტარის, ჭურჭლის და აქსესუარების დანიშნულება და მათი გამოყენება . სხვადასხვა სახის სერვირება და მომსახურება; სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებზე მომსახურება; სასტუმროს ოთახებში სასმელებითა და კერძების მომსახურება; საუზმისათვის შვედური მაგიდის მომზადება და მომსახურება; ყავის შესვენების მომსახურება;</p> <p>სამუშაო გარემოს უსაფრთხო ორგანიზება</p> <p>შრომის უსაფრთხოების წესების დაცვა; სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და სტანდარტების დაცვა; ხანძარსა და სხვა საფრთხისგან უსაფრთხოების და ვენტილაციის რეჟიმის ნორმების დაცვა; სტუმრის ქონების უსაფრთხოების დაცვა; ნომერებში არსებული ინერტარისა და ტექნიკის ექსპლუატაციაზე ზედამხედველობა;</p> <p>შეუძლია:</p> <p>სტუმრის პირადი ან კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა. სასტუმროს სამსახურებთან კოორდინირებული მუშაობა; სტუმრის მომსახურების სტანდარტების დაცვაზე ზრუნვა.</p> <p>სასტუმროს რეკლამირება და მომხმარებელთა მოზიდვა; პროდუქტის სათანადოდ შეთავაზება და გაყიდვა.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>	<p>შეუძლია დამოუკიდებლად მუშაობა.</p> <p>შეუძლია უშუალო ხელმძღვანელის, მენეჯერის, კოლეგების და სხვა პერსონალის მითითებების და შენიშვნების მიღება, გათვალისწინება და სათანადო დასკვნის გამოტანა ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით. აქვს პრობლემების გადაჭრის და გადაწყვეტილების მიღების უნარი; პრობლემების შეფასება, ანალიზი და სათანადო დასკვნების გამოტანა, ექსტრემალურ , კონფლიქტურ და კრიტიკულ სიტუაციაში ეფექტურად მოქმედების და სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი; უნდა შეეძლოს ამა თუ იმ ქმედების დადებითი და უარყოფითი მხარეების განჭვრეტა, განსჯა, ინფორმაციის გაანალიზება და მისაღები გადაწყვეტილების შერჩევა; სტუმრებთან გადახდის პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში შინაგანაწესის ახსნა- განმარტება ; უკმაყოფილო სტუმრის ან სტუმართა</p>

მომღვაწვებისას მომსახურების პრობლემების მოგვარება; ნომერსი გაუტვალინინებელი ტექნიკური პრობლემის წარმოქმნისას, სტუმრის პრეტენზიის შემთხვევაში, ადეკვატური გადანწყვეტილების მიღება ; მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით, სტუმრის საჩივრის შემთხვევაში, სტუმრის კეთილგანწყობის შენარჩუნება და პრობლემების აღმოფხვრა; მომხმარებლისგან მიღებული ინფორმაციის იდენტიფიცირების და კატეგორიებად დაყოფის უნარი; ამოცანის გადასაწყვეტად გარკვეული მიდგომების შემუშავების და მიღებული შედეგების ანალიზის უნარი; უნდა შეეძლოს შესასრულებელ სამუშაოთა პრიორიტეტულობის განსაზღვრა და ხელმძღვანელებთან ერთად გადანწყვეტილების მიღება;

გააჩნია საკუთარი სამუშაო დროის ორგანიზების და სწარფად და ეფექტურად დაგეგმვის უნარი ; შეუზღია როგორც გუნდში, ასევე დამოუკიდებლად მუშაობა;

შეუძლია ხელმძღვანელთან ან კოლეგებთან ერთად დღის ან დროის უფრო ხანძლივ მონაკვეთში შესასრულებელი სამუშაოების დაგეგმვა; სამუშაოსათვის დამახასიათებელი ელემენტებისა და მომსახურების განსაზღვრული ვალდებულებების თანმიმდევრული შესრულება და სამუშაოების კოორდინაცია; საქმიანობის კოორდინირება მენეჯერთან, ზოგჯერ მუშაობა პარტნიორთან და მისი დახმარება; ცვალებად გარემოსა და სიტუაციებისადმი შეგუება, სამუშაო პროცესებისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისათვის დისკუსიებში მონაწილეობა და წინადადებების შეთავაზება;

<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.</p>	<p>შეუძლია ქართულ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, პროფესიული კომპენტეციის ფარგლებში საჭირო ინფორმაციის გაგება, გააზრება, მოძიება. კომუნიკაცია სასტუმროს ნებისმიერი რგოლის პერსონალთან; მათი დავალებებისა და თხოვნის ყურადღებით მოსმენა, მოსმენილის გაგება, გააზრება და საჭიროებების დაზუსტება; წარმოქმნილი პრობლემის შესახებ ინფორმაციის დეტალური და ამომწურავი მიწოდება. სამუშაოს გაუმჯობესებაზე კარგად დასაბუთებული მოსაზრებების ჩამოყალიბება; ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია დარგის პროფესიული უზრუნველყოფის გამოყენება; ინფორმაციის მოძიება ინტერნეტში, სპეციალურ ლიტერატურასა და კოლეგების გამოკითხვის გზით; მუსმივად და ეფექტურად იღებს ინფორმაციას სფეროსი არსებული თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ ჟურნალებიდან, სახელმძღვანელოებიდან, წიგნებიდან და სპეციალური ინტერნეტ გვერდებიდან. ფლობს ინგლისურ ენას და საკომუნიკაციო დონეზე; შეუძლია დიალოგის თავისუფლად წარმართვა და ენის პრაქტიკული გამოყენება; ფლობს მეორე ენას (არჩევით) საკომუნიკაციო დონეზე. უნდა ჰქონდეს აუცილებლად მკაფიო და გამართული მეტყველება სწორი არტიკულაცია; დეტალურად ახსნისა და განმარტების მიცემის უნარი;</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.</p>	<p>შეუძლია სსწავლო გეგმით განსაზღვრული თეორიული და პრაქტიკული ნაწილის ათვისება და შესწავლა, ნასწავლი მასალის გადმოცემა, შეფასების მიღება. შეუძლია ლიტერატურის და წყაროების მოძიება, დამუშავება და ანალიზი, საკუთარი სწავლის დაგეგმვა, შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების უზრუნველყოფა.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.</p>	<p>კარგად იცნობს სასტუმრო ბიზნესის სფეროს, მომსახურების არს და სტუმარმასფინძლობის ძირითად პრინციპებს, პროფესიულ სტანდარტებს და პროფესიული ეთიკის ძირითად პრინციპებს, გაცნობიერებული აქვს საკუთარი მოვალეობები, ფუნქციები და პასუხისმგებლობა. არის მომდიმარი,ზრდილობიანი, თავაზიანი და ყურადღებიანი; ახასიათებს ორგანიზებულობა, დისციპლინა, პუნქტუალურობა და მონესრიგებულობა, საკუთარი და სხვისი ფუნქციების და მოვალეობების გაცნობიერება, კონსტრუქციული თანამშრომლობა და კეთილგანწყობა კოლეგებთან და პერსონალთან, სხვისი დახმარება, საქმისადმი პატიოსანი და ეთიკური მიდგომა; გულისყურით ეკიდება სტუმრის მოთხოვნას; კრიტიკულ სიტუაციაში არ კარგავს</p>

მობილიზაციის უნარს და მაქსიმალურად ცდილობს მომხმარებლის დაკმაყოფილებას. არის ტოლერანტული, აკურატული, მომთმენი და ემოციურად სტაბილური.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების მეთოდები:

სწავლების პროცესის ორგანიზება მიზნად ისახავს ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომლებიც წინამდებარე პროფესიული პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციის შედეგად უზრუნველყოფენ კურსდამთავრებულის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მიღწევას.

სწავლების პროცესში გამოიყენება როგორც კონკრეტული მეთოდები (ვერბალური - თემის ახსნა. გამოკითხვა, მსჯელობა და დებატები, მოხსენების წარდგენა; წერიითი - ლექციებიზე ჩანაწერები, პრაქტიკული მეცადინეებისთვის დავალების მომზადება, სამუშაო ჯგუფში მოხსენების/პრეზენტაციების მომზადება, ამონაწერები სახელმძღვანელოდან; საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება - ინფორმაციის მოძიება და დამუშავება, პროფესიასთან დაკავშირებული პრაქტიკული ხასიათის ამოცანების შესრულება, მოხსენებისთვის საილუსტრაციო მასალის მომზადება და სხვ.), ასევე სხვადასხვა მეთოდების კომბინირება (მაგ., ლექციებზე - მოსმენა და ჩანაწერი; პრაქტიკული მეცადინეობებზე - ვერბალური: აქტივობა, შესწავლილ თემასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და მსჯელობა, წერილობითი: დავალების მომზადება; საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება: კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება; სამუშაო ჯგუფში მუშაობისას - წერილობით მომზადებული. კომპიუტერული ტექნიკისა და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით გაფორმებული/ილუსტრირებული და ვერბალურად წარდგენილი მოხსენებები და ა.შ.). მეთოდების კომბინირება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობას, მათი შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების ფორმატი:

წინამდებარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით სწავლება ითვალისწინებს შემდეგ ფორმატს: თეორიულ სასწავლო კურსების შესწავლა და პრაქტიკა, რომელიც მოიცავს სასწავლო პრაქტიკას / სამუშაო ადგილის სიმულირებას, საწარმოო პრაქტიკას და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებას. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პროფესიული პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად და მოიცავს :

სასწავლო კურსების შესწავლით (ლექციები, სამუშაო ჯგუფებში მუშაობა) პროფესიულ სტუდენტს უყალიბდება პროფესიისთვის აუცილებელი თეორიული ცოდნა. პროფესიულ სტუდენტთა თეორიული ცოდნა შემომწმდება პრაქტიკულ ან / და ლაბორატორიულ მეცადინეობაზე მიღებული შეფასებებით, შუალედური და დასკვნითი გამოცდების მეშვეობით. პროფესიულ სტუდენტსა და სასწავლო კურსის წამყვან ლექტორს / მასწავლებელს შორის ინდივიდუალური მუშაობის გაზრის მიზნით სასწავლო კურსის წამყვანი ლექტორები / მასწავლებლები პროფესიულ სტუდენტებს ჩაუტარებენ კონსულტაციებს.

პროფესიული პროგრამის მნიშვნელოვანი კომპონენტია პრაქტიკა, რომელშიც მოიაზრება:

სასწავლო პრაქტიკა, რომლის მიზანია, პროფესიულ სტუდენტს ჩამოუყალიბოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები, დაეხმაროს სასწავლო კურსების შესწავლით

მიღებული თეორიული ცოდნის გამყარებაში და ასწავლოს მისი დამოუკიდებლად, პრაქტიკული გამოყენება რიალურ გარემოსთან დაახლოებულ პირობებში სამუშაო ადგილის სიმულაციის გზით. სასწავლო პრაქტიკა ჩატარდება გამოცდილი და სათანადო კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის მეთვალყურეობით.

საწარმოო პრაქტიკა. პროფესიული სტუდენტები გაივლიან სხვადასხვა საწარმოებში / ორგანიზაციებში, რადგან სწარმოო პრაქტიკის მიზანია პროფესიულ სტუდენტს რეალურ გარემოში გააცნოს მისი მომავალი სამუშაო ადგილი, შესასრულებელი ფუნქციები და დაეხმაროს ამ ფუნქციების შესრულების უნარ-ჩვევების გამომუშავებაში უშუალოდ პრაქტიკული საქმიანობის შედეგად, სასწავლო პრაქტიკაზე პროფესიული სტუდენტის დაშვების წინა პირობაა სასწავლო პრაქტიკის წარმატებით გავლა და დადებითი შეფასების მიღება.

პროფესიული კვალიფიკაცია ენიჭება პროფესიულ სტუდენტს სწავლის ბოლო ეტაპზე - საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ყველა კომპონენტის - სასწავლო კურსის, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ათვისების შემდეგ.

პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

შეფასების მიზანია განსაზღვროს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის, უნარების და ღირებულებების დონე პროფესიული პროგრამის მიზნებთან და მოთხოვნებთან მიმართებაში:

➤ შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

➤ სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

- დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:
 - ა) შუალედურ შეფასებას;
 - ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.
- პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.
 - შეფასების კრიტერიუმები განწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დასრულება:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დასრულებულად ითვლება, თუ პროფესიულმა სტუდენტმა შეისწავლა პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები, გაიარა სასწავლო და სანარმოო პრაქტიკა, მიიღო მხოლოდ დადებითი შეფასებები, წინამდებარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებულად დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიენიჭება მესამე საფეხურის სასტუმრო საქმისმწარმოებლის პროფესიული კვალიფიკაცია.

დასაქმების სფერო

სხვადასხვა ტიპის სასტუმრო ობიექტები: სასტუმრო ბრენდები, დიდი, საშუალო და მცირე ზომის სასტუმროები, სასტუმრო სახლები, დასასვენებელი სახლები, სანატორიუმები, საკურორტო კომპლექსები, საკრუიზო გემები.

სწავლის გავრძელების შესაძლებლობა

მეოთხე საფეხურის სასტუმრო საქმისმწარმოებლის პროფესულ პროგრამაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სწავლის შედეგების რუქა

სასწავლო კურსების დასახელება	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	სწავლის შედეგები		სწავლის უნარი	ღირებულებები
			დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი		

ბიზნესი ინგლისიური ენა	X	X		X		
საოფისე კომპიუტერული პროგრამები	X	X		X		
ტურიზმის ბიზნესის საფუძვლები	X	X		X	X	X
ბულალტრული აღრიცხვა	X	X	X	X		X
ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი	X	X	X			
სასტუმროს მენეჯმენტი	X					X
სარესტორნო ოპერაციების მენეჯმენტი	X					X
ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში	X	X	X			
სპეციალურ ღონისძიებათა მენეჯმენტი	X					X
მეტყველების კულტურა	X			X		
ბიზნეს ეტიკეტი	X					X
ურთიერთობის ფსიქოლოგია	X					X
უცხო ენა (არჩევით – ესპანური, რუსული)		X		X		
სასწავლო პრაქტიკა		X	X	X	X	X
საწარმოო პრაქტიკა		X	X	X	X	X

სასწავლო გეგმა

სასწავლო კურსი	კრედიტი	საკონტაქტო საათები						სულ	სასწავლო კურსის კოდი
		აქტიური	რეული	სემინარი	პრაქტიკა	სემინარი	ლაბორატორია		

ბიზნეს ინგლისური ენა	1	15	-	-	-	2	1	7	25	TOU0001VET
საოჯისი კომპიუტერული პროგრამები	3	15	35	--	-	2	1	22	75	TOU0002VET
ბულალტრული აღრიცხვა	2	30	-	-	-	2	1	17	50	TOU0003VET
ტურიზმის ბიზნესის საფუძვლები	2	30	-	-	-	2	1	17	50	TOU0004VET
ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი	2	30	-	-	-	2	1	17	50	TOU0005VET
სასტუმროს მენეჯმენტი	6	90	-	-	-	2	1	57	150	TOU0006VET
სარესტორნო ოპერაციების მენეჯმენტი	2	30	-	-	-	2	1	17	50	TOU0007VET
ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში	1	15	-	-	-	2	1	7	25	TOU0008VET
სპეციალურ ღონისძიებათა მენეჯმენტი	1	15	-	-	-	2	1	7	25	TOU0009VET
მეტყველების კულტურა	1	15	-	-	-	2	1	7	25	TOU0010VET
ბიზნეს ეტიკეტი	1	15	-	-	-	2	1	7	25	TOU0011VET
ურთიერთობის ფსიქოლოგია	1	15	-	-	-	2	1	7	25	TOU0012VET
რუხო ენა (არჩევით – ესპანური, რუსული)	1	15	-	-	-	2	1	7	25	TOU0013VET
სასწავლო პრაქტიკა	16			397		2	1		400	TOU0014VET

საწარმო პრაქტიკა	20				490		10		500	TOU0015VET
სულ	60	330	35	397	490	28	24	196	1500	

პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

№	პროგრამის კომპონენტი	გვარი, სახელი,
1	ბიზნეს ინგლისური ენა	მაია მარღანია-ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი

2	კომპიუტერული საოფისე პროგრამები	დალი ხარებაშვილი-მასწავლებელი
3	ბულალტრული აღრიცხვა	ნელი სესაძე-ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
4	ტურიზმის ბიზნესის საფუძვლები	ლილი კოჭლამაზაშვილი-ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
5	ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი	იზოლდა ხოხაშვილი-ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი
6	სასტუმროს მენეჯმენტი	იზოლდა ხოხაშვილი-ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი
7	სარესტორნო ოპერაციების მენეჯმენტი	ლილი კოჭლამაზაშვილი-ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
8	ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში	ნატალია კუტალაძე-დოქტორანტი
9	სპეციალურ ღონისძიებათა მენეჯმენტი	ლიანა ქართველიშვილი-გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი
10	მეტყველების კულტურა	ნანა ჩიკვილაძე-ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი
11	ბიზნეს ეტიკეტი	ლილი კოჭლამაზაშვილი-ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
12	ურთიერთობის ფსიქოლოგია	იზოლდა ბუხელიშვილი-პედაგოგიკის აკადემიური დოქტორი
13	რუსული ენა	ზოია ადამია-ასოცირებული პროფესორი
14	ესპანური ენა	მაია ჩქვანავა-ასოცირებული პროფესორი
15	სასწავლო პრაქტიკა	ნინო შავშიშვილი
16	საწარმოო პრაქტიკა	ლამარი ქურდამვილი

მესამე საფეხურის სასტუმრო საქმისმწარმოებლის პროფესიული პროგრამის საწარმოო პრაქტიკის განხორციელების საფუძველი

N ^o	საწარმოო პრაქტიკის	მისამართი, ხელშეკრულების N ^o და მოქმედების ვადა
----------------	--------------------	--

განმახორციელებელი
დანესებულება/ორგანიზაცია

1.	შპს "ჯორჯიან ტური"	ერთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი #13, 25 აპრილი
2	შპს "ძველი თბილისი" თბილისი" ჰოსტელი	ერთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი #18, 17.06.2012 წელი,